ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1927 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1927 წ. აგვისტოს 20 № 6 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

87. დადგენილება № 52 ც. ა. კ.—საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

88. დადგენილება № 53 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხ. მე-2 ნაწ. რედაქციის შეცვლის შესახებ.

89. დადგენილება № 54 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სისხლის სამართლის კოდექსისათვის 88[1] მუხ. დამატებისა და ამ მუხლით 183 მუხლის შეცვლის შესახებ.

90. დადგენილება № 55 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 24 მუხ. შეცვლის შესახებ.

91. დადგენილება № 56 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცვლის და დამატების შესახებ.

92. დადგენილება № 57 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სისხლის სამართლის კოდექსისათვის 121[1] მუხ. დამატების შესახებ.

93. დადგენილება № 58 ც. ა. კ.—„მაჰარამის“ დღეებში სარწმუნოებრივი დემონსტრაციის მსვლელობის და ყოველგვარი თვითდასახიჩრების აკრძალვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

94. „საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა თაობაზე“ 1924 წლის ივნისის 26 თარიღითა და მე-2 №-ით გამოცემული დეკრეტის გაუქმებისა და საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათ კავშირთა რეგისტრაციის წესის შესახებ.

95. სოფლის სამკურნალო დახმარებით უზრუნველყოფისა და სასოფლო სამედიცინო პერსონალის ნივთიერი მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

96. საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა და იმ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) მიერ, რომლებშიც სჭარბობს სახელმწიფო კაპიტალი.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

87. დადგენილება № 52 ც. ა. კ.

საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის ივლისის 20-ს დამტკიცებული საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების მე-8 მუხ., მე-17 მუხ. მე-2 ნაწ., მე-40, 41 და 50 მუხლები შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 8. საბჭოთა სამაზრო ყრილობის ყველა დადგენილება და ოქმი სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გაუგზავნოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

მუხ. 17, ნაწ. მე-2. სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა ყველა თავისი დადგენილებისა და ოქმის ასლი უნდა წარუდგინოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელსაც წარუდგენს აგრეთვე ანგარიშს თავისი მოქმედების შესახებ.

მუხ. 40. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და ინსპექციების სათავეში სდგანან განყოფილებათა გამგეები დ ინსპექტორები, რომელთაც აირჩევს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი. საორგანიზაციო განყოფილების გამგე არჩეულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილების გამგისა ან სათანადო ინსპექტორის ჩამოცილება. უკეთუ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ამის თანახმა არ იქნება, საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

მუხ. 41. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თვითეული განყოფილება თავის გამგებლობის ფარგლებში განახორციელებს საბჭოთა მმართველობისა და მეურნეობის ცალკე დარგის მიზნებსა და ღონისძიებებს, რაც ჩამოთვლილია ამა დებულების 19—32 მუხლებში, და ანგარიშს თავის მუშაობის შესახებ წარუდგენს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმსა და სათანადო სახალხო კომისარიატს; ხოლო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება ანგარიშს წარუდგენს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას.

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და მათთან არსებულ დაწესებულებათა (მუხ. 39) მოქმედების ფარგლები განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ განსაკუთრებულ დებულებას შეიმუშავებს სათანადო სახალხო კომისარიატი და სხვა ცენტრალური ორგანო—კუთვნილებისამებრ—ამა დებულების საფუძველზე, ხოლო დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

მუხ. 50. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და ინსპექციების გაუქმება ან შეერთება, აგრეთვე ახალი განყოფილების და ინსპექციის დაარსება შეიძლება მოხდეს, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობით და სათანადო სახალხო კომისარიატის თანხმობით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

სრულიდ საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. ივნისის 1.
ტფილისი—სასახლე

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 142 №-ში 1927 წ. ივნისის 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

88. დადგენილება № 53 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ხისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხ. მე-2 ნაწ. რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10-ს თარიღითა № 77-ით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხ. მე-2 ნაწილის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 103 ნაწ. მე-2. განადგურება, გაფუჭება, ამოღება ან სხვა ადგილას გადატანა დროებითი ან სამუდამო სამიჯნაო ნიშნისა, რაც დადებულია მიწათმოწყობის დროს, ან იმ ნიშნისა, რაც დადგმულ იქნება ტოპოგრაფიული, გეოდეზიური და სამარკშეიდერო მიზნისათვის, და აგრეთვე ახალი ნიშნის თვითნებისად დადგმა იქ, სადაც იგი არ უნდა იდგეს, გამოიწვევს.

იძულებითი მუშაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას 50 მანეთამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. ივნისის 23.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 146 №-ში 1927 წ. ივნისის 30.

---

89. დადგენილება № 54 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ხისხლის სამართლის კოდექსისათვის 88[1]-მუხ. დამატებისა და ამ მუხლით 183 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

საქართველოს სსრ. სისხლის სამარლის კოდექსს დაემატოს 88¹-მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 88¹. ხულიგნობა, ე. ი. თავ-აწყვეტილი მოქმედება, რასაც თანა სდევს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა, გამოიწვევს ადმინისტრატიული წესით

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას სამ თვემდე ან და ჯარიმას სამას მანეთამდე.

ხოლო იგივე მოქმედება, უკეთუ მას თან ერთვის შლეგიანობა ან უხამსობა ან უკეთუ განმეორებითაა ჩადენილი, ან ახირებით არ იქნა შეწყვეტილი მიუხედავად საზოგადოებრივი წესრიგის მცველი ორგანოს გაფრთხილებისა, ან და განსაკუთრებულად ცინიკურია და თავხედური, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე.

II.

იგულისხმებოდეს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 183 მუხლი ამა მუხლითაა შეცვლილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. ივნისის 23.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 148 №-ში 1927 წ. ივლისის 2.

---

90. დადგენილება № 55 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 24 მუხ. შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების 2 მუხ. წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო სამართლის საპრ. კოდექსის 24 მუხ. შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 24. ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილება განიხილავს საქმეს:

ა) ისეთი სარჩელის გამო, რომლის ფასი 1000 მანეთს აღემატება;

ბ) ისეთი სარჩელის გამო, რომელიც აღძრულია სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის წინააღმდეგ იმ ზარალისათვის, რაც მიყენებულ იქნა უკანონო ან არა სწორი ადმინისტრატიული მოქმედებით, აგრეთვე უკანონოდ ან არა სისწორით ჩამორთმეული ან განსხვისებული ქონების დაბრუნებისათვის;

დ) ისეთი სარჩელის გამო, რაც აღძრულია მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისა ან სამაზრო ქალაქის საბჭოს (და არა მათ განყოფილებათა) წინააღმდეგ;

გ) ისეთი სარჩელის გამო, რაც გამომდინარეობს ამხანაგობის ხელშეკრულებიდან, გარდა იმ სარჩელისა—ფასით არა უმეტეს 100 მან.—რაც გამომდინარეობს მარტივი ამხანაგობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობით ამხანაგობის ხელშეკრულებიდან;

ვ) ისეთი სარჩელის გამო, რაც გამომდინარეობს საავტორო უფლებიდან, სამრეწველო რამ გამონაგონის უფლებიდან, სასაქონლო და საფაბრიკო ნიშნის უფლებიდან, მოდელისა და ფირმის უფლებიდან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. ივნისის 23.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 149 №-ში 1927 წ. ივლისის 3.

---

91. დადგენილება № 56 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემ-
დეგი შინაარსისა:

შენიშვნა. მუშათა და საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობას მიწის ნაკვეთი, მისი სურვილისამებრ, შეიძლება მიეცეს უვადო სარგებლობისათვის.

ისეთ მიწის ნაკვეთზე აგებული შენობა, რაც საბინაო-საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას უვადო სარგებლობისათვის მიეცა, შეადგენს ამ ამხანაგობის საკუთრებას; ამასთანავე მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობის უფლება განუყოფელია შენობის საკუთრების უფლებისაგან და მოისპობა ამ უფლების მოსპობასთან ერთად.

უკეთუ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აგებული შენობა რაიმე მიზეზით განადგურდა, ამ ნაკვეთის უვადო სარგებლობის უფლება არ მოისპობა, იმ პირობით-კი, თუ სამი წლის განმავლობაში აგებული იქნება ახალი შენობა.

2. 76 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 76. აღმნაგი ვალდებულია გადაიხადოს ყველა საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახად-გამოსაღები, რაც კი აღნაგობის უფლებას შეეწერება. ის, თუ რა საგადასახადო შეღავათი ეძლევა იმ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, ორგანიზაციასა და პირს, რომელიც ააგებს საცხოვრებელ შენობას, განისაზღვრება განსაკუთრებული დადგენილებით.

3. 79 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. მუშათა საბინაო-საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას შეუძლიან თავისი აღნაგობის უფლება და ის შენობები, რაც მისი საკუთრებაა, გაასხვისოს მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოზე ან მუშათა სხვა საბინაო-საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობაზე; ხოლო საერთო-სამოქალაქო საბინაო-საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას თავისი აღნაგობის უფლება და საკუთარი შენობა შეუძლიან გაასხვისოს მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოზე ან კოოპერატიულ ორგანიზაციაზე.

იგივე წესი სათანადოდ გავრცელდება იმ შემთხვევაზედაც, როდესაც ამ ამხანაგობათა აღნაგობის უფლება და საკუთარი შენობები გაიყიდება საჯარო ვაჭრობით.

მუშათა და საერთო-სამოქალაქო საბინაო-საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა ზემოაღნიშნული აღნაგობის უფლებისა და საკუთარი შენობების დაგირავება შეიძლება მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოში, კოოპერატიულ ორგანიზაციაში და საკრედიტო დაწესებულებაში, რომელთაც, მათი დებულების ან წესდების ძალით, შეუძლიანთ დაიგირაონ შენობა და აღნაგობის უფლება.

კერძო პირს არ შეუძლიან მიაქციოს გადახდევინება მუშათა და საერთო-სამოქალაქო საბინაო-საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა ვალდებულებისათვის ამ ამხანაგობათა კუთვნილ შენობასა ან აღნაგობის უფლებას.

მუშათა და საერთო-სამოქალაქო საბინაო-საამშენებლო კოოპერატიულ ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანაგობის წევრს უფლება აქვს ისარგებლოს საცხოვრებელი სადგომი მთლად იმ დროის განმავლობაში, რაც ამხანაგობას ექნება აღნაგობის უფლება ან საკუთრების უფლება უწყებულ შენობაზე; ამასთანავე, ამ საცხოვრებელი სადგომის სივრცე განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რამდენი პაი ეკუთვნის წევრს. საერთო-სამოქალაქო საბინაო-საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობის შევრის აღნიშნული უფლება გადადის, საერთო წესისამებრ, მემკვიდრეობით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. ივნისის 23.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 165 №-ში 1927 წ. ივლისის 22.

---

92. დადგენილება № 57 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 121¹ მუხ. დამატების შეხახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლ. სამ. კოდექსს დაემატოს 121¹ მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 121¹. მილიციის სამწყობრო შედგენილობისა, სისხლ. სამ. მაძიებელი მილიციის აქტიური შედგენილობის ან და თავისუფლების აღკვეთის ადგილების საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის პირთა მიერ თვითნებისად ვადამდე თავისი სამსახურის მიტოვება გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე.

ხოლო, უკეთუ იგივე ქმედობა ჩადენილია ბრძოლის პირობებში ან საკომანდო სამწყობრო შედგენილობის პირთა მიერ,

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. ივნისის 23.

ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

93. დადგენილება № 58 ს. ა. კ.

„მაჰარამის“ დღეებში რელიგიური დემონსტრაციებისა, მსვლელობებისა და ყოველგვარი თვითწვალების აკრძალვის შესახებ.

საზოგადოებრივი სიმშვიდისა და წესრიგის დაცვის მიზნით სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს მოახლოებულ „მაჰარამის“ სამგლოვიარო დღეებში რელიგიური დემონსტრაციები, მსვლელობები და ყოველგვარი თვითწვალება.

2. ის პირი, ვინც ამა დადგენილებას არ შეასრულებს, მიცემულ იქნება პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

3. მეთვალყურეობა ამა დადგენილების შესრულებისათვის დაეკისროს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შინა-მმართველობის განყოფილებებს და ტფილისის საბჭოს ადმინისტრატიულ განყოფილებას.

4. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. ივნისის
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 146 №-ში 1927 წ. ივნისის 30.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

94. დადგენილება ს. კ. ს.

„საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა თაობაზე“ 1924 წლის ივნისის 26-ს თარიღითა და მე-2 №-ით გამოცემული დეკრეტის გაუქმებისა და საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათ კავშირთა რეგისტრაციის წესის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დებულების დამტკიცების შესახებ“ 1927 წ. იანვრის 7-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 38) და „კოოპერატიული კრედიტის დებულების დამტკიცების შესახებ“ 1927 წ. იანვრის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 4 №-რი, მუხ. 43) თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ივნისი 26-ს თარიღისა და მე-2 №-რის დეკრეტი „საკრედიტო კოოპერატიულ ამხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობათა შესახებ“ (საქ. სსრ. კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 28) გაუქმებულ იქნეს.

2. დროებით, ვიდრე ა/კ სფსრ-ში სათანადო საკანონმდებლო აქტი გამოიცემოდეს, საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა რეგისტრაცია, აგრეთვე ისეთი ორგანიზაციებისაგან შემდგარ საკრედიტო კავშირთა რეგისტრაცია, რომელთა გამგეობანიც საქართველოს სსრ ფარგლებში იქყოფებიან, დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ალ. სალირიძე.**

1927 წ. ივნისის 14.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 152 №-ში 1927 წ. ივლისის 7.

---

95. დადგენილება ს. კ. ს.

სოფლის სამკურნალო დახმარებით უზრუნველყოფისა და სასოფლო-სამედიცინო პერსონალის ნივთიერი მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი უფასო ბინით, გათბობით და განათებით, სატრანსპორტო საშუალებით სოფლებში მიმოსვლისათვის, აგრეთვე სპეცტანისამოსით, შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ნორმის მიხედვით. ამის გამო წინადადება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ საგასავლო ბიუჯეტში სათანადო თანხები.

2. აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა შეიტანონ ადგილობრივ ბიუჯეტში ხარჯი მუშაობისათვის სოფლად მიწვეული კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის დასაკმაყოფილებლად საწარმავლო, საგზაო და დღიური ფულით, შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული რაოდენობით, აგრეთვე სამკურნალო პუნქტების სამედიცინო ლიტერატურით უზრუნველყოფისათვის.

3. დაწესებულ იქნეს სოფლის ექიმებისათვის სამი პერიოდული მიმატება ჯამაგირისა (ძირითადი ჯამაგირის 20%-ს რაოდენობით) თვითეული სამის წლის საუბნო მუშაობისათვის; სოფლად მუშაობის ვადა დაიწყება ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

4. იმ ექიმს, რომელიც, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან იმუშავებს სოფლად არა ნაკლებ 5 წლისა, მიეცემა სამეცნიერო წარელინება 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვეზე არა ნაკლები ვადით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯით; საწარვლინებო გასამრჯელოს გარდა, ექიმს დაეტოვება სრულად მისი ხვედრი ჯამაგირი და ყველა კომუნალური მომსახურეობა.

5. მუშაობისათვის სოფლად წასული კვალიფიციური სამედიცინო დარგში მომუშავის ოჯახს დაეტოვება მის მიერ დაჭერილი საცხოვრებელი ბინა, უკეთუ ოჯახი წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დარჩება.

6. გადიდებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტით სტიპენდიების რიცხვი და აგრეთვე სტიპენდიების რაოდენობა იმ ექიმთათვის, რომელნიც სტაჟს გადიან, და შემდეგ სტაჟგავლილი სტიპენდიატები გამოყენებულ იქნენ უმთავრესად სოფლად მუშაობისათვის.

7. უნდა შეიქმნას ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარით სტაჟის გამვლელი სტიპენდიატების კადრი იმ პირობით, რომ სტაჟდამთავრებულები გამოყენებულ იქნენ სოფლად.

8. სამედიცინო დარგში მომუშავეთა შვილებს, რომელ მომუშავეთაც სოფლად საბჭოთა ხელისუფლების დროს უმუშავნიათ არა ნაკლებ სამის წლისა, მიენიჭოს შეღავათიანი პირობები უმაღლეს სასწავლებლებში, ტეხნიკუმებში და I-ლი და მე-II საფეხურის სკოლებში შესვლისათვის, თანაც მათი სწავლება უნდა სწარმოებდეს უსასყიდლოდ და, შეძლებისდაგვარად, ეს მოსწავლენი უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სტიპენდიით.

შენიშვნა. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უნდა გამოსცეს ინსტრუქცია ამა მუხლის შეფარდებისათვის.

9. დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ. იუსტიციისა და შრომის სახალხო კომისარიატებთან ერთად, გამოსცეს ინსტრუქცია სასოფლო-სამედიცინო პერსონალის უფლება-მოვალეობის შესახებ.

საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. ივნისის 15.
ტფილისი-სასახლე

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 137 №-ში 1927 წ. ივნისის 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

96. დადგენილება ს. კ. ს.

საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა და იმ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამგანაგობათა) მიერ, რომლებშიც სჭარბობს სახელმწიფო კაპიტალი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ საქართველოს სსრ სახელმწიფო, როგორც რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა ხელმძღვანელს, აგრეთვე სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) ხელმძღვანელ ორგანოთ, რომლებშიც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს, და რომელთაც რეგისტრაცია ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველოში უკეთდებათ, დაუყოვნებლივ შეუდგნენ საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირებას არა ნაკლებ 15%-ისა, იმ ხარჯებთან შედარებით, რაც ფაქტიურად გაწეულ იყო 1925-26 საოპერაციო წლის მე-2 ნახევარში; ამასთანავე შემცირების დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს მთელი ის სამუშაო, რაც გათვალისწინებულია 1926-27 წლის გეგმით.

2. საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შესამცირებლად უპირველეს ყოვლისა საჭიროა:

ა) სამმართველო აპარატის გამარტივება (საქართველოს სსრ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში მყოფი ტრესტებისა)—იმ სატიპო სტრუქტურის და შესაფერისად, რაც დამტკიცებულია სსრკ სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს მიერ;

ბ) შტატების შემცირება აპარატის სტრუქტურისა, მუშაობის სისტემისა და მეთოდების გაუმჯობესების საფუძველზე და ამასთან ერთად სამუშაო ხელფასის ფონდის შემცირება, ხოლო ისე კი, რომ ამით არ შემცირდეს სამუშაო ხელფასის არსებული განაკვეთები;

გ) სამმართველო ორგანოთა სადგომების მოვლა-შენახვაზე გასაწევი ხარჯების რეალური შემცირება და ამ სადგომების სივრცე-სიდიდის შეფარდება დაწესებულ ნორმებთან;

დ) წარვლინების მაქსიმალური შემცირება და საწარვლინებო ხარჯის გაღების დროს სათანადო წესების ზედმიწევნით დაცვა;

ე) წარმომადგენლობათა რიცხვის შემცირება მინიმუმამდე და მხოლოდ ისეთი წარმომადგენლობის დატოვება, რაც აუცილებლად საჭიროა;

ვ) პატარ-პატარა საკუთარი გარაჟების ლიკვიდაცია და მიმოსვლისათვის უპირატესად საყოველთაო მიმოსვლის საშუალებათა გამოყენება;

ზ) თათბირების მოწვევისათვის და ამ თათბირებისათვის მომსახურეობის გასაწევად საჭირო ხარჯების შემცირება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ყოველი ისეთი ხარჯის სრულიად აცილება, რასაც კი პირდაპირი კავშირი არა აქვს საწარმოს მიზნებთან.;

ვ) დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 1927 წლის აგვისტოს 1-სათვის წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება ხარჯების შემცირების შესახებ მის ქვემდებარე საწარმოებში 1926/27 საოპერაციო წლისათვის და დაეკისროს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატს შეამოწმოს-შეამცირეს თუ არა ნამდვილად ამა დადგენილების თანახმად, სამეურნეო ორგანოებმა თავისი ხარჯები და წარუდგინოს 1927 წ. აგვისტოს 1-სათვის სახალხო კომისართა საბჭოს თანამოხსენება სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს მოხსენების გამო.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე**

1927 წ. ივნისის 28.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 155 №-ში 1927 წ. ივლისის 10.

ს. ს. მ. უ. პოლიგრაფიული ტრერსტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 2207—8439. მთავლიტი № 1484. ტირ. 1500.